ადამიანთა ორი ქმედება [მცირე] ურწმუნოებას მიეკუთვნება: წარმომავლობის გაკრიტიკება და ხმამაღალი გლოვა მიცვალებულზე

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ადამიანთა ორი ქმედება [მცირე] ურწმუნოებას მიეკუთვნება: წარმომავლობის გაკრიტიკება და ხმამაღალი გლოვა მიცვალებულზე».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ორ თვისებაზე, რომლებიც ადამიანებს ახასიათებთ და მიეკუთვნება ურწმუნოების საქმეებსა და ჯაჰილიის (უმეცრების ეპოქის) ზნეებს: პირველი: ადამიანთა წარმომავლობის გაკიცხვა, მათი საგვარეულოს დამცირება და მათ მიმართ ამპარტავნული დამოკიდებულება. მეორე: ხმამაღლა ტირილი განსაცდელის დროს, როგორც უკმაყოფილების გამოხატულება ბედისწერით, ან ტანსაცმლის დახევა ჭარბი მწუხარების გამო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6361

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee